ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის <u>რეზოლუცია 1648 (2009)</u> **საქართველოსა და რუსეთს შორის ომის ჰუმანიტარული შედეგები**

1. საპარლამენტო ასამბლეა, ეყრდნობა რა რეზოლუციას 1633 (2008) საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შედეგების შესახებ, მიიჩნევს, რომ ერთ-ერთ გადაუდებელ პრიორიტეტს წარმოადგენს ომის ჰუმანიტარული შედეგების მოწესრიგება.

2. მას შემდგომ, რაც 2008 წლის აგვისტოში ომი დაიწყო, სავარაუდოდ, 133 ათასი ადამიანი გადაადგილდა სამხრეთ ოსეთიდან, ე.წ. `ბუფერული ზონიდან~ და აფხაზეთიდან საქართველოს სხვა მხარეებისაკენ. რუსეთის ხელისუფლების მონაცემებით, სამხრეთ ოსეთის 38 ათასზე მეტმა მკვიდრმა თავშესაფარი ჰპოვა ჩრდილოეთ ოსეთის ტერიტორიაზე.

3. 2008 წლის აგვისტოს შემდგომ, იძულებით გადაადგილებული დაახლოებით 100 ათასი ადამიანი დაუბრუნდა საკუთარ საცხოვრისს, უმთავრესად სამხრეთ ოსეთის მომიჯნავე ყოფილ ე. წ. "ბუფერულ ზონაში". 23 ათასამდე ადამიანი კი რჩება დროული დაბრუნების მცირედი პერსპექტივის ამარა. მათგან, ვინც რუსეთს შეაფარა თავი, სამხრეთ ოსეთში დაბრუნდა 2000-მდე ადამიანი. რუსეთის ტერიტორიიდან ლტოლვილთა დაბრუნებას აბრკოლებს მათი საცხოვრისის განადგურება კონფლიქტისას.

4. მიუხედავად ადამიანთა დაბრუნების ფართო მასშტაბებისა კონფლიქტის შემდგომ, საგულისხმო საზრუნავს წარმოადგენს იმ პირთა ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების მდგომარეობა, რომლებიც დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრისს, ვერ ახერხებენ დაბრუნებას, ან არ დაუტოვიათ თავიანთი საცხოვრისი, მიუხედავად მნიშვნელოვანი სირთულეებისა უსაფრთხოების მხრივ.

5. ბოლო დროს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა ხვედრთან ერთად, საზრუნავად რჩება წინარე კონფლიქტების შედეგად იძულებით გადაადგილებული 222 000 ადამიანისა და ასევე იმ ლტოლვილთა მდგომარეობა, რომელთა წლების მანძილზე დამძიმებული ყოფა კვლავაც საჭიროებს სასწრაფოდ გაუმჯობესებას.

6. წუხილის საგნად კვლავ რჩება ყველა იმგვარი ქმედება, რომელიც ხელს შეუწყობს ქართველების ეთნიკურ წმენდას კონფლიქტის რეგიონიდან და ოკუპირებული ტერიტორიებიდან.

7. ბოლო კონფლიქტისას უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რაოდენობა ჯერ კიდევ დაუზუსტებელია.

8. სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობა უაღრესად რთულია სამოქალაქო მოსახლეობისათვის. ისინი მოწყვეტილნი არიან დანარჩენ საქართველოს, მცირედ ან სრულებით ვერ იღებენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ დახმარებას და ვერავინ მეთვალყურეობს ადამიანის უფლებებით სარგებლობას მათ მიერ. ზამთრის თვეებში ისინი აწყდებიან უდიდეს სირთულეებს, რაც, კერძოდ, გამოწვეულია საკვები თუ არასაკვები პროდუქციის, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის ნაკლებობით. კიდევ უფრო რთულია იმ ადამიანთა ყოფა, რომელთა საცხოვრისიც დაზიანებული ან დანგრეულია. ადგილზე დარჩენილი ერთეული ეთნიკური ქართველის უსაფრთხოება ჯერ კიდევ მერყევია და როგორც იუწყებიან, ისინი განიცდიან სულ უფრო მზარდ ზეწოლას, რათა უარი თქვან ქართულ პასპორტებსა და თვითმყოფადობაზე.

9. კვლავ დაძაბულია მდგომარეობა ყოფილ ე.წ. "ბუფერულ ზონაში", სადაც გრძელდება ადამიანთა მოკვდინება სნაიპერული ცეცხლის, ნაღმების, გასაუვნებელი ჭურვებისა და სატყუარა ნაღმების გამოყენებით. მართალია, ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის სწრაფმა განთავსებამ მრავალ ადამიანს მისცა საშუალება, ზამთრის დადგომამდე დაბრუნებოდა საკუთარ საცხოვრისს ყოფილ ე.წ. "ბუფერულ ზონაში", სამომავლოდ, მისიას დასჭირდება უფრო მყარი მანდატი და გაზრდილი პირადი შემადგენლობა იმისათვის, რათა დაიცვას ყველა ადამიანის უსაფრთხოება, რომელიც ცხოვრობს სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი საზღვრის სიახლოვეს. ფრიად დასანანია საქართველოში ეუთო-ს მისიის დახურვა და მისი მეტად ღირებული სამეთვალყურეო საქმიანობის დასრულება, რაც კიდევ უფრო ზრდის ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის პასუხისმგებლობას მისი მანდატისა და ადგილზე წარმომადგენლობის გამყარების მხრივ.

10. კვლავ უდიდეს წუხილს იწვევს იმ ადამიანთა მდგომარეობა, რომლებიც განაგრძობენ ახალგორის რაიონში ცხოვრებას. რეგიონი უკვე დატოვა 5100-მდე ადამიანმა და შიშობენ, რომ ეს

რიცხვი გაიზრდება უსაფრთხოების ნაკლებობის გამო, რასაც თან ერთვის ზამთრის მკაცრი პირობები, საკვებისა და არასაკვები პროდუქციის, ბუნებრივი აირის, გათბობის, ფინანსური შემწეობისა თუ შემოსავლების ნაკლებობა.

11. იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი რაოდენობა დაუბრუნდა ყოფილ ე. წ. `ბუფერულ ზონას~. ასამბლეა შეშფოთებით აღნიშნავს, რომ დაბრუნების პროცესი, ზოგიერთ შემთხვევაში, ნაჩქარევად იყო ორგანიზებული, რომლის დროსაც, იძულებით გადაადგილებულ პირებს მიეცათ მწირი ინფორმაცია და არჩევანი თავიანთ დაბრუნებასთან დაკავშირებით, რითაც დაირღვა მათი ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში. როგორც იუწყებიან, ასამდე დაბრუნებულმა ადამიანმა ხელმეორედ დატოვა საკუთარი საცხოვრისი, უსაფრთხოების არადამაკმაყოფილებელი პირობების გამო ყოფილი ე. წ. `ბუფერული ზონის~ ზოგიერთ მხარეში.

12. გალის რაიონში დაბრუნებულ ქართველთა მდგომარეობა კვლავ მერყევია. დანარჩენ საქართველოსთან არსებული ფაქტობრივი საზღვრის ჩაკეტვამ დიდი გავლენა იქონია გალის რაიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე. მისთვის ერთიორად გართულდა ფაქტობრივი საზღვრის მიღმა ოჯახური კავშირების შენარჩუნება, წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია, მკურნალობის მიღება თუ ფინანსური უფლებებით სარგებლობა.

13. უსაფრთხოების თვალსაზრისით შექმნილი მდგომარეობა ასევე რთულია გალის რაიონში, სადაც ადამიანები ერიდებიან თავიანთი საცხოვრისის დატოვებას დაბინდების შემდეგ. გრძელდება შეტყობინებების მიღება ძალადობის შესახებ. გარდა ამისა, იდგმება ნაბიჯები ქართულ ენაზე სწავლების შეჩერებისაკენ გალის რაიონის ქვემო ზონის სოფლებში არსებულ სკოლებში. ამგვარი ზომების კრებითი ეფექტი, უსაფრთხოების ნაკლებობა და შიში იმისა, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებმა, შესაძლოა, დატოვონ რეგიონი, ხელს შეუწყობს სულ უფრო მეტი ადამიანის მიერ ფაქტობრივი საზღვრის გადმოლახვას გალის რაიონიდან საქართველოს სიღრმისაკენ. თუკი საზღვარი ჩაკეტილი დარჩა, მოსალოდნელია ეთნიკური ქართული მოსახლეობის დიდი გადაადგილება.

14. გაეროს სამეთვალყურეო მისია საქართველოში აწარმოებს ხელახალ მოლაპარაკებებს მისი მანდატის განსაზღვრის მიზნით აფხაზეთში, რაც გამოიწვია მოსკოვის შეთანხმების ბათილად ცნობამ, რომელსაც ეს მანდატი ეფუძნებოდა. მისია მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს აფხაზეთში, კერძოდ გალის რაიონსა და კოდორის ხეობაში, რომლის სოფლებში განხორციელებული რეგულარული პატრულირება ადგილობრივ მცხოვრებთ უზრუნველყოფს მათთვის სასურველი გარკვეული უსაფრთხოებით.

15. დიდ წუხილს იწვევს ასევე იმ 1500 ადამიანის მომავალი, რომელთაც დატოვეს კოდორის ხეობა, როდესაც ის დაიკავეს აფხაზეთის სამხედრო ძალებმა 2008 წლის აგვისტოში. ამჟამად ხეობაში რჩება 100-მდე ადამიანი და მიუხედავად იმისა, რომ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლები დაუშვეს მათ მოსანახულებლად, ამ ადამიანებს, სავარაუდოდ, მოუწევთ მეტად მძიმე ზამთრის გადატანა. აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება დახმარებას უწევს ამ ტერიტორიაზე დარჩენილ სამოქალაქო პირებს.

16. ასამბლეა მიესალმება ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ ნაკისრ როლს და მის ექვს პრინციპს ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული უსაფრთხოების გადაუდებელი დაცვისათვის, რომლებიც შემუშავდა 2008 წლის აგვისტოში მის მიერ განხორციელებული ვიზიტის შედეგად.

17. ასამბლეა მიესალმება საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა ჰუმანიტარულ და უსაფრთხოების საჭიროებათა საპასუხოდ გამოვლენილ უდიდეს საერთაშორისო გამოხმაურებას. საქართველოს კრიზისის გამო მყისიერი მოწოდებისა და საჭიროებათა ერთობლივი შეფასების შედეგად, რომლებიც ომის შემდეგ თანადროულად გამოქვეყნდა, წარმოიშვა 4,5 მლრდ აშშ დოლარის ოდენობის ვალდებულება. ასამბლეა იწონებს მრავალი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციის ქმედებას, რომლებიც საჩქაროდ გამოემართნენ საქართველოს მოსახლეობისა და მთავრობის მხარდასაჭერად.

18. საქართველოს მთავრობამ გამოავლინა ურყევი ნება, გაუმკლავდეს საკუთარი მოსახლეობის წინაშე არსებულ ჰუმანიტარულ გამოწვევებს, გაითვალისწინა რა წინარე კონფლიქტებისას დაშვებული შეცდომები.

19. მთავრობამ იმოქმედა სწრაფად იმ მიზნით, რათა მედეგი გამოსავალი შეეთავაზებინა იმ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომელთაც გააჩნიათ მცირე ან არავითარი იმედი, ახლო მომავალში დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრისს. 6000-ზე მეტი პატარა, ორსაძინებლიანი ოჯახური ტიპის სახლების აშენება მისასალმებელია, მიუხედავად კრიტიკული შენიშვნებისა მათ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით, ძირითადი კომუნალური მომსახურებისგან მოწყვეტით და მცირედი ეკონომიკური პერსპექტივის მქონე ადგილზე. წუხილს იწვევს, ასევე, იმ კრიტერიუმის ნაკლებ სიცხადე, რომლის საფუძველზეც ხდება აღნიშნული საცხოვრისების ადამიანებისთვის მიკუთვნება. მთავრობამ, მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით, ასევე სწრაფი ნაბიჯები გადადგა, რათა ზამთრის პირობებისათვის მიესადაგებინა იძულებით გადაადგილებულ პირთა 137 კოლექტიური ცენტრი.

20. სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯები მოიცავს კონფლიქტის შედეგად ყველაზე უმწეო მდგომარეობაში მყოფთა და ფსიქოლოგიური პრობლემების მქონეთა დახმარებას. სკოლები საქართველოში, მათ შორის ყოფილ ე.წ. "ბუფერულ ზონაში" გაიხსნა და განაგრძობს ფუნქციონირებას, ბავშვებს კი დაურიგდათ სასკოლო ინვენტარი. უზრუნველყოფილ იქნა უფასო პირველადი სამედიცინო დახმარება, თუმცა, საჭირო იქნება მისი გაფართოება ზამთრისათვის.

21. ასამბლეა აღნიშნავს, ასევე, რუსეთის მხრიდან გამოვლენილ გულისხმიერ გამოხმაურებას სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა საჭიროებებისადმი და მათ დახმარებას სამხრეთ ოსეთში დაბრუნებისას. თუმცა, ის გამოთქვამს წუხილს რეგიონისათვის განკუთვნილი საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებაზე დაწესებული შეზღუდვებისა და წაყენებული მოთხოვნის გამო, რათა სამხრეთ ოსეთისადმი განკუთვნილი ყველა სახის დახმარება ადგილზე მივიდეს რუსეთის და არა საქართველოს გავლით.

22. ასამბლეა გამოთქვამს წუხილს იმის გამო, რომ ჰუმანიტარული დაშვების საკითხი განიცდის კონფლიქტის მონაწილე მხარეთა პოლიტიკური შეხედულებების გავლენას და შეშფოთებულია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ საქართველოს ახალი კანონის დებულებათა გამო, რომელთაც, შესაძლოა, შეაფერხონ ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა დახმარების ხელმისაწვდომობა და მიწოდება ყველგან და ვინაიდან ეს დებულებები, შესაძლოა, არ შეესაბამებოდეს და არღვევდეს შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებს.

23. ასამბლეა ასევე გმობს იმ ფაქტს, რომ სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ სამხრეთ ოსეთში საქართველოს მხრიდან შესვლაზე დაწესებული შეზღუდვების გამო, ასამბლეამ ვერ შეძლო, პირველწყაროდან მიეღო ინფორმაცია ამ რეგიონის მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ.

24. ზემოხსენებულ მოსაზრებათა გათვალისწინებით, ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს, რუსეთსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებებს: უპირობოდ იკისრონ საერთაშორისო ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლის დაცვის ვალდებულება; კერძოდ კი, აღასრულონ ჰააგის 1907 წლის კონვენციის (IV), ჟენევის 1949 წლის კონვენციებისა და მისი ოქმების და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის შესაბამისი მოვალეობები და ვალდებულებები;

სწრაფად, დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად გამოიძიონ ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევის ფაქტები და საჭიროების შემთხვევაში, აწარმოონ სისხლის სამართლებრივი დევნა დამნაშავეთა წინააღმდეგ და მისცენ საშუალება ადამიანის უფლებათა სახალხო დამცველებს, რათა მათ ჩაატარონ თავიანთი დამოუკიდებელი გამოძიება;

უზრუნველყონ საერთაშორისო ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევათა შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, მათ შორის ქონების დაბრუნება და კომპენსაციის გადახდა;

უზრუნველყონ ყველა ჰუმანიტარული ორგანიზაციის სასწრაფო და შეუფერხებელი დაშვება როგორც საქართველოდან, ასევე რუსეთიდან ნებისმიერ დროს და კონფლიქტური ტერიტორიის ნებისმიერ მხარეში იმგვარად, რომ მათ შეძლონ, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ იძულებით

გადაადგილებულ და საფრთხის ქვეშ მყოფ სხვა სამოქალაქო პირებს. მათ თავი უნდა შეიკავონ ნებისმიერი იმგვარი ქმედებისგან, რაც ხელს შეუშლის ამგვარ დაშვებას.

უზრუნველყონ, რათა ჰუმანიტარული დახმარებისა და სხვა სასიცოცხლო პროდუქციის მიწოდება იყოს შეუფერხებელი და აღწევდეს შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებამდე. აღნიშნული მოიცავს ბუნებრივ აირსა და წყალმომარაგებას.

დაიცვან როგორც ბოლო, ასევე წინარე კონფლიქტების შედეგად გადაადგილებული ყველა ადამიანის ნებაყოფლობითი დაბრუნების უფლება

და უზრუნველყონ, რათა დაბრუნება მოხდეს უსაფრთხო და ღირსეულ პირობებში. დაბრუნების უფლების უზრუნველყოფა ათვლის წერტილია იძულებით გადაადგილების საკითხის მყარი გადაწყვეტისა, ხოლო საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი კონფლიქტის ყველა მონაწილე მხარეს ავალდებულებს, საომარ მოქმედებათა დასრულების შემდგომ, გააკეთონ ყველაფერი მოქალაქეებისადმი მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად და უზრუნველყონ, რათა ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები უსაფრთხოდ დაუბრუნდნენ თავიანთ საცხოვრისს.

დაიცვან როგორც ბოლო, ასევე წინარე კონფლიქტების შედეგად გადაადგილებული ყველა ადამიანის თავისუფალი არჩევანის უფლება, დაუბრუნდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრისს, დარჩნენ ამჟამინდელი განსახლების ადგილზე თუ აირჩიონ საცხოვრებლად ქვეყნის სხვა მხარე და მიიღონ სათანადო ზომები, რათა იძულებით გადაადგილებული პირები სრულად ჩაერთონ თავიანთი დაბრუნების, ამჟამინდელი განსახლების ადგილზე დარჩენისა თუ ქვეყნის სხვა მხარეში გადასვლის დაგეგმვასა და მართვაში.

დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ და გაცვალონ ყველა სამხედრო ტყვე და კონფლიქტის დროს დაკავებული ადამიანი, ისევე როგორც ყველა ნეშთი.

უზრუნველყონ ყველა მძევლის დაუყოვნებელი გათავისუფლება და გაცვლა, ისევე როგორც მძევლად აყვანის სისხლის სამართლებრივი დევნა და აღმოფხვრა.

გადაჭრან როგორც ბოლო, ასევე წინარე კონფლიქტის შედეგად უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხი. ამ მიზნით, საჭიროებისამებრ, განაახლონ სამუშაო ჯგუფების მუშაობა ყველა მხარეს და მჭიდროდ ითანამშრომლონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან.

გაცვალონ ინფორმაცია ნაღმებისა და განუმუხტავი ჭურვების შესახებ და ორგანიზაცია "ცალო ტრუსტ"-სა და ადგილზე მოქმედ სხვა ექსპერტთა დახმარებით, გააუვნებლონ ყველა დარჩენილი საბრძოლო მასალა. უზრუნველყონ, რათა მოხდეს საფრთხის მომცველი ყველა ადგილის რუქაზე დატანა, შემოსაზღვრა და მათი თვალსაჩინოდ დაფიქსირება ადგილობრივი მოსახლეობისათვის და განაგრძონ ცნობიერების ასამაღლებელი პროგრამების ჩატარება აღნიშნული ფეთქებადი მასალებისგან მომდინარე საფრთხეების შესახებ, რომლებიც გამიზნული იქნება ყველა მათთვის, ვინც იმყოფება საფრთხის ქვეშ, იქნებიან ისინი სამოქალაქო პირები, პოლიციის თანამშრომლები, ხელისუფლების წარმომადგენლები თუ სხვ.

მიიღონ ზომები, რათა ეფექტიანად დაიცვან როგორც წინარე, ასევე ბოლო კონფლიქტისას იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ ადგილზე დატოვებული საკუთრება, მისი დაბრუნების უზრუნველსაყოფად მომავალში;

დაიცვან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითა და ასევე, ხმელეთზე წარმოებული ომის კანონებისა და წესების შესახებ 1907 წლის ჰააგის კონვენციით (IV) დაკისრებული ვალდებულებები. აღნიშნული სტანდარტების თანახმად, კონფლიქტში მონაწილე მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევათა გამო ნებისმიერ ტერიტორიაზე, რომელიც მოქცეულია მათ ფაქტობრივ კონტროლქვეშ.

დათანხმდნენ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის გაძლიერებას, რათა მას მიეცეს საშუალება, განამტკიცოს საკუთარი წარმომადგენლობა და დაშვებულ იქნეს ფაქტობრივი სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს და ყოფილ კონფლიქტურ ტერიტორიებზე, რომელთა ოკუპაცია მოხდა შემდგომში.

დათანხმდნენ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის მანდატის გაფართოებას, რათა მან მოიცვას უსაფრთხოების დაცვა და შეძლებისდაგვარად, მშვიდობის შენარჩუნება სამხრეთ ოსეთისა და

აფხაზეთის ფაქტობრივი სასაზღვრო ზოლის ორივე მხარეს და ყოფილი კონფლიქტური ტერიტორიების სხვა მხარეებში, რომელთა ოკუპაცია მოხდა შემდგომში.

განიხილონ და შეათანხმონ საქართველოში ეუთოს მისიის ახალი მანდატი, კერძოდ კი იმგვარი, რომელიც ეუთოს მიანიჭებს, სხვებს შორის, სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივი საზღვრის ორივე მხარის მეთვალყურეობის უფლებამოსილებას.

სრულად მიიღონ მხედველობაში და განახორციელონ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის მიერ ჩამოყალიბებული ექვსი პრინციპი ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული უსაფრთხოების გადაუდებელი დაცვის შესახებ, შემუშავებული 2008 წლის აგვისტოში მის მიერ რეგიონში განხორციელებული ვიზიტის შედეგად, ისევე როგორც შემდგომი რეკომენდაციები აღნიშნული დოკუმენტის ხორცშესხმის შესახებ.

25. ასამბლეა მოუწოდებს რუსეთსა და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფაქტობრივ ხელისუფლებებს:

25.1 უზრუნველყონ მათ ფაქტობრივ კონტროლქვეშ მყოფი ყველა ადამიანის დაცულობა და უსაფრთხოება არა მარტო სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, არამედ, ასევე, ოკუპირებულ ახალგორის რაიონსა და პერევში, ისევე როგორც კოდორის ხეობაში.

25.2 უზრუნველყონ, რათა აღიკვეთოს იმგვარი ზომების მიღება მომავალში, რომლებიც აიძულებს ადამიანებს, დატოვონ თავიანთი საცხოვრისი და მშობლიური მხარე, რაც იქნება ეთნიკური წმენდის ხელშემწყობი.

25.3 შეწყვიტონ, თავიდან აიცილონ და უზრუნველყონ დაცვა ამჟამად მიმდინარე უკანონობისგან, მათ შორის ფიზიკური ძალადობისგან, ძარცვისგან, დაშინებისგან, მოროდერობისგან, ადამიანთა გატაცებისგან თუ საკუთრების განადგურებისგან და აწარმოონ ყველა იმ ადამიანის სისხლის სამართლებრივი დევნა, ვისაც მონაწილეობა აქვს მიღებული ამ სახის ქმედებებში.

25.4 მხარი დაუჭირონ საქართველოში გაეროს სამეთვალყურეო მისიის ახალ, გაფართოებულ მანდატს, რომელიც ჩაენაცვლება წინამორბედს, მათ შორის აფხაზეთში და შესაძლოა, ასევე, სამხრეთ ოსეთში და საშუალება მისცენ ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიას, იმოქმედოს თავისი მანდატის შესაბამისად.

26. ასამბლეა მოუწოდებს საქართველოს:

26.1 გააუმჯობესოს ფაქტობრივი საზღვრის მომიჯნავე და ყოფილ კონფლიქტურ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ადამიანის უსაფრთხოება, მათ შორის ღამის საათებში პოლიციის პატრულირების გაძლიერების გზით ყველაზე საჭირო ადგილებში და არა მხოლოდ ფაქტობრივ საზღვართან მდებარე საგუშაგოებზე.

26.2 გააუმჯობესოს პირველადი ჰუმანიტარული დახმარების, მათ შორის საკვები და არასაკვები პროდუქციისა და შეშის მიწოდება სამხრეთ ოსეთის მომიჯნავე ყოფილი ე.წ. `ბუფერული ზონის~ სოფლებში.

26.3 მიიღოს შესწორებული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა როგორც ბოლო ხანს, ასევე უწინ იძულებით გადაადგილებულ პირთათვის და უზრუნველყოს, რათა როგორც ბოლო ხანს, ასევე უწინ იძულებით გადაადგილებულ პირებს დახმარება გაეწიოთ, უფრო მეტად, ჭეშმარიტი საჭიროებისა და მგრძნობელობის მარტივი, რაციონალური, ნათელი და გამჭვირვალე კრიტერიუმის საფუძველზე, ვიდრე ადამიანთა სტატუსიდან გამომდინარე;

26.4 უზრუნველყოს იძულებით გადაადგილებულ პირთა სისტემატური ინფორმირება და მათი აზრის გათვალისწინება, რათა მათ მიეცეთ საშუალება, მიიღონ დამოუკიდებელი და ინფორმირებული გადაწყვეტილება, დაკავშირებული ახალ საცხოვრებელ ადგილზე მათ ინტეგრირებასთან,

დაბრუნებასთან თუ ქვეყნის სხვა მხარეში დროებით ან მუდმივად დასახლებასთან. გარდა ამისა, უნდა მოხდეს უფლებამოსილი საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორიცაა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამსახური, ჩართვა ხელახალი განსახლებისა და დაბრუნების პროცესში.

26.5 უზრუნველყოს, რათა მათ, ვისაც იძულებით არ შეუცვლიათ ადგილსამყოფელი, მაგრამ იმყოფებიან კონფლიქტის შედეგად გამოწვეული პრობლემების წინაშე, მიიღონ სათანადო დახმარება;

26.6 განაგრძოს პირველადი სამედიცინო დახმარებისა და ფსიქოლოგიური მხარდაჭერის გაწევა იძულებით გადაადგილებული პირებისა და დაბრუნებულებისთვის და განსაკუთრებით გაითვალისწინოს ბავშვთა საჭიროებანი.

26.7 მიიღოს ზომები, რათა იძულებით გადაადგილებული ქალები და ბავშვები არ გახდნენ უკანონო ვაჭრობისა თუ ძალადობის მსხვერპლი.

26.8 გამოძებნოს გზები, რათა ვალები შეუმსუბუქოს იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომელთაც დაკარგეს თავიანთი საცხოვრისი და შემოსავალი, ისევე როგორც მათ, ვისაც არ გააჩნიათ არავითარი სახსარი, რათა დაფარონ საბანკო დავალიანებანი;

26.9 უზრუნველყოს, რათა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ახალი კანონი არ იქნეს განხორციელებული იმგვარად, რომ გაუარესდეს იმ ადამიანთა მდგომარეობა ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებათა სამართლით სარგებლობის თვალსაზრისით, რომლებიც ცხოვრობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივ საზღვრებს მიღმა, ან რაიმე გზით ხელი შეეშალოს ჰუმანიტარულ დაშვებას.

26.10 სრულად გაითვალისწინოს დემოკრატიის მეშვეობით ევროპული კომისიის (ვენეციის კომისია) საექსპერტო რჩევა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ახალი კანონის შესაბამისობის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებთან.

26.11 გაუმჯობესოს იძულებით გადაადგილებული პირებისადმი ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებების შესახებ და მისცეს მათ საშუალება, ჩაერთონ მათ მომავალთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

27. ასამბლეა მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრ და დამკვირვებლის სტატუსის მქონე სახელმწიფოებს:

27.1 განაგრძონ დახმარების აღმოჩენა და გამოყონ რესურსები იმისათვის, რათა:

27.1.1. დაუყოვნებლივ უპასუხონ ბოლო ხანს იძულებით გადაადგილებულ პირთა მწვავე ჰუმანიტარულ საჭიროებებს, სხვებს შორის და არა მხოლოდ თავშესაფართან დაკავშირებით;

27.1.2. დაეხმარონ ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფთ, მათ შორის ბავშვებს, ავადმყოფებს, მოხუცებს, ინვალიდებს, მარტოხელა დედებს, უმწეოებსა და ტრავმირებულებს;

27.1.3. იპოვონ მედეგი გამოსავალი როგორც უწინ, ისე ბოლო ხანს იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის სასარგებლოდ, რომელიც იქნება უსაფრთხოების ნათლად განსაზღვრული ასპექტის მომცველი;

27.1.4. განახორციელონ ყველა პუნქტი საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმისა იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, იმ შესწორებების გათვალისწინებით, რომლებიც შეთანხმდა უმთავრეს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მხედველობაში იღებს ბოლო ხანს იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას;

27.1.5. უზრუნველყონ უმტკივნეულო გადასვლა გადაუდებელი დახმარების გეგმიდან აღდგენით და განვითარების საწყისი ეტაპის გეგმაზე საქართველოსთვის;

27.2. უზრუნველყონ დახმარების მიმღებთა ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა, იქნება ეს ცენტრალური თუ ადგილობრივი ხელისუფლება, საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციები და სხვ.; 27.3. მხარი დაუჭირონ გაეროს, საქართველოში გაეროს სამეთვალყურეო მისიის ახალი მანდატის შემუშავების პროცესში;

28. ასამბლეა მოუწოდებს ევროკავშირს, უზრუნველყოს, რათა ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიამ მიიღოს საჭირო რესურსები დაკისრებულ მოვალეობათა შესასრულებლად და:

28.1 განამტკიცოს ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის მანდატი მოსახლეობის დაცვისა და მშვიდობის შენარჩუნების მხრივ პერიოდულად წარმოქმნილი საჭიროებების გათვალისწინებით;

28.2. უზრუნველყოს ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის პირადი შემადგენლობის სრულფასოვანი მომზადება ადამიანის უფლებათა სტანდარტებში;

28.3. უზრუნველყოს პატრულები ქართველი თარჯიმნებით;

28.4. გახსნას დამატებითი ოფისები ფაქტობრივი საზღვრის გაყოლებაზე იმისათვის, რათა პატრულებს მიეცეთ საშუალება, გონივრულ ვადაში მიაღწიონ ყოფილი `ბუფერული ზონის~ ყველა

ადგილს; 29. ასამბლეა მოუწოდებს ევროკავშირს, იმუშაოს ევროკავშირის სამეთვალყურეო მისიის მანდატის განვრცობის საკითხზე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ფაქტობრივ საზღვრებს მიღმა.

30. ასამბლეა მოუწოდებს ევროპის საბჭოს განვითარების ბანკს, განიხილოს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა, მათ შორის იძულებით გადაადგილებულ პირთა და წინარე კონფლიქტებისას გადაადგილებულთა შესაძლო დახმარების ზომები, ისევე როგორც დაზარალებულ ტერიტორიებზე, მათ შორის სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, აღდგენით სამუშაოებში წვლილის შეტანის საკითხი.

2009 წლის 28 იანვარი.

(http://portal.coe.ge/downloads/Rec1648Ge.pdf)